ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №68-041018-03
(კონსოლიდირებული ტენდერი CON180000010)

ქ. თბილისი 04 ოქტომბერი 2018 წ.

ერთი მხრივ - სს„საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში დავით ვარდიაშვილის სახით და მეორე მხრივ - შპს „ინტერავტო თრეიდინგი“ (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ბეროშვილის სახით, მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების ზამთრის სეზონის საბურავების (თანხმლები მომსახურებით) 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1411 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „სატენდერო კომისია“ - „2018-2019 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 ივლისის №1411 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8. „ფორს-მაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები (CPV34351100), რომლებიც აკმაყოფილებენ CON180000010 კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართებით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის R14 175/70 ზომის Hifly (Win Turi 212) ბრენდის 4 ცალი საბურავი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთი ცალი საბურავის (R14 175/70 ზომის Hifly (Win Turi 212)) ღირებულება შეადგენს 70,00 (სამოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. საბურავების ფასი მოიცავს მათი მონტაჟის, დემონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

3.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 280,00 (ორასოთხმოცი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს, მოსაკრებლსა და სახდელს, დღგ-ს ჩათვლით.

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1. საბურავების მიწოდება, მონტაჟი/დემონტაჟი და ბალანსირება განხორციელდება 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მიმართვის საფუძველზე, მიმართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. #14 (შპს „ინტერავტო თრეიდინგი"); ქ. თბილისი ხოშარაულის ქ. #30 (შპს „ინტერავტო თრეიდინგი"); ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. #85 (შპს „თეგეტა ენდ ელ"). მიმართვა შესაძლებელია განხორციელდეს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ.ფოსტა - i.nikolaishvili@gogc.ge და g.paichadze@gogc.ge; მიმწოდებლის ელ.ფოსტა - a.beroshvili@interauto.ge).

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის (თანმდევი მონტაჟის, დემონტაჟის და ბალანსირების მომსახურებით) დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის (თანმდევი მონტაჟის, დემონტაჟის და ბალანსირების ჩათვლით) შესაბამისად და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ექნება ზამთრის სეზონის შესაბამისი მარკირება, იქნება ქარხნული წარმოების და საგარანტიო ვადის ამოწურვამდე არ განიცდის დეფორმაციას და უნდა ექვემდებარებოდეს ბალანსირებას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით;

5.2. მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ საბურავზე საგარანტიო პირობები ვრცელდება საბურავის სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში არანაკლებ 50 000 კილომეტრ გარბენზე. საბურავმა არ უნდა მიიღოს დეფორმაცია, ნორმების დაცვით ექსპლუატაციისას საბურავის სამუხრუჭე მანძილი არ უნდა იწვევდეს საფრთხის შექმნას მგზავრებისათვის და საბურავმა არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტები, რომლებიც ხელს შეუშლის ტრანპორტის ნორმალური ექსპლუატაციას ან საფრთხეს შეუქმნის მგზავრების უსაფრთხოებას.

5.3. მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, წუნის ან სხვა დეფექტის მქონე საბურავის შეცვლა ახალი იდენტური პარამეტრების მქონე საბურავით საკუთარი სახსრებით.

5.4. გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:

ა) მექანიკური დაზიანება;

ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/„დაბუქსავება");

გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;

დ) ბორდიურზე მიჯახება;

ე) ჩარტყმა.

6. მხარეთა უფლებები და ურთიერთ ვალდებულებები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულება.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონლის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

7.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული/მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5% ოდენობით.

7.3. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

7.4. სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8.2. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

- საქონლის მოცულობის, ხარისხისა და ვადების წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.
- შეამოწმოს საქონელი მის მიღებამდე და უხარისხობის შემთხვევაში უარი თქვას მის მიღებაზე.
- წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების

შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

10.3. მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

11.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 8 მარტის ჩათვლით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“ სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №21 ტელ/ფაქსი: 224-40-40 / 224-40-41 ს/კ 206237491 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE71TB7895736030100001 დირექტორი ფინანსურ საკითხებში დ. ვარდიაშვილი	„მიმწოდებელი“ შპს „ინტერავტო თრეიდინგი“ მის: ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. №14 ტელ: 215 88 00; 591 52 00 22 ს/კ: 206211936 სს „თიბისი ბანკი“ ბ/კ: TBCBGE22 ა/ა GE53TB1171936020100001 დირექტორი ა. ბეროშვილი